

ლით. ლემურჯიისა. თბილისს

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღს.

№ 26.

ივნისი 27, 1893 წ.

№ 26.

**შინაარსი:**—ნატერა ლექსი ბარბალე ჯორჯაძისა.—მატიანე.—ცხოვრება, ლექსი მ. ბოლქვაძისა.—ერემ-სერემ-სურეშიანი ვაფა-ფაველისა.—ქართული წირვა-ლოცვის და გალობის შესახებ მთ. რ. მ—შვილისა.—კარლო-ფრანსუა გუნო, XX-ლისა. სხვა-და-სხვა ამბები.—მისწერებული სიტყვა.—მერცხალი, ლექსი რ. საჯავახოელისა.—ქართველთა ქალები მეთუთხმეტე საუკუნეში XX-ლისა.—სომხების ცხოვრებიდან დ. ტ—ლ—ცისა.—მოგზაურობა კახეთში თ. ილია ჭავჭავაძისა.—განცხადება.

სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

## „კვალი“

ხელის მოწერა „კვალიზე“ ამ 1893 წელს განიკრძობა წლიურად და ღირს 8 მანეთი. ვინაც შეორე ნახევარი წლის ფული არ შე-  
მოუტანია, ვისოვთ დასქარონ ფულის შემო-  
ტანს, ხოლო ვინაც ქსურს გაზეთის ახლად  
დაბარება ნახევარი წლით დამდგვის ივლი-  
სას თვიდან, უმორჩილესად ვისოვთ მათ  
დროით შეგეტკობინონ.

გაზეთი ნახევარი წლით ღირს გაკვან-  
ნით—4 მანეთი, წამი თვით—2 მანეთი, ორი  
თვით—1 მანეთი და 50 კ. ერთი თვით—1 მან.  
ბდრუსის გამოცვლა ღირს 60 კ

ნ ა ტ ვ რ ა



აქა ვინატრო, რომ ასრულდეს,  
არ ვისურვებ სიცოცხლესა,  
არც ღიღებს არაოდეს,  
ოქროდ შემკულ სასახლესა.

მხოლოდ ენატრობ იმ გვარ ზღუდეს,  
ხელოვნობით საკვირეულსა,  
ვერა ძალა ვერ არღვევდეს,  
უფანგებოდ მის კედელსა.

კარის მცველად ჰყუდეს გმირი,  
მამულს, ისევ თავის შვილი,  
ააციღნოს ღმერთმაც კირი,  
კაცზედ წყრობით მოვლენილი.

მუნ მცხოვრებნი განძლიერდენ,  
მამა-პაპით დატანჯული,  
დაცემულნი ისევ აღდგენ,  
განიკურნონ მწველი :ამასაჲყ

ოდეს იყოს ყინვა დიდი,  
 უზებრავდეს ბუქსა ქარი,  
 იმ ღროს მზისა შარავანდი,  
 მოეფინოს მოგეტეს დარი.

და თუ სიციხემ მოჰსწვას მდელი,  
 სულ გაახშოს მოსაველი,  
 ზეცამ წვიმით დაასველოს,  
 ის ორიოდ ჩიენი კვალი.

ენა შხამებრ გესლ-ნარევი,  
 ხალხს ვადექცეს სიყვარულად,  
 ბოროტებას მოერევი,  
 თუ მოიქცე გონიერულად.

ძმა ძმას მტკიცედ მხარში უდგეს,  
 აწნევებდენ ერთმანეთსა;  
 ყველა ქრისტეს მცნებას ადგეს,  
 აღიდებდენ მარად ღმერთსა.

მსწრაფულად ბნელი განგინათლდეს,  
 და აჰყავდეს მთა და ველი,  
 მაგალითად ჩვენ გესახავდეს,  
 თვით განთქმულთ უტბოელი.

მაშინ ეიტყვი, ჩიენც ეტოცხალვართ,  
 კაკათა ვართ გაჩენილი, . . . . .

ბაბაღე გორჯაძისა

მ ა ტ ი ა ნ ე



მწელს გამოიკა ორი შესანიშნავი კანონდება: ერთი მთვანი შეიცავს დასტების საქმეს. ამ კანონდებით მთავრობას ჰსურს შეამკროს უსინდისო ცარცვა-გლეჯა, რომელიც შემოდებულთა სოფლის ხალხის გასანადგურებლად. მიწათ-მოშენებს და მიწის მუშა ადგილ-მამულის მეპატრონეს ხშირად სჭირდება ფული ალოს დროს და სხვა-და-სხვა მოულოდნელს ჰქირსა და ღზინში ხელის გასამართლად, ცხენი დღობისა და ხატობის გადასახდელად, აგრეთვე ქორწილისა და აღაპების (ქელებს) შესასრულებლად. ეპური, რომელიც ყოველთვის ამისთანა შემთხვევისათვის მიდარაჯებულია, რაკი ჩაიგდებს გაჭირებულს გლეხ-კაცს ან თაყვან-აზნაურს, ვაკითხვა აღარ აქვს, ხან ასეხებებს ფულს ათი თორმეტად, ესე იგი თუმანში იღებს თორმეტ მანეთს მართა სარგებელს წლის განმავლობაში, ან ვასცემს ჰირანხულზედ და მაშინ თუმანში ორ თუმანსაც არ დასჯერდება წლითი-წლობამდე. ის დაიგირაყვებს მამულის შემოსავალს და ის არის. მერე მთელი სოფლის შემოსავალი მას მიაქვს. და ეს სება სოფლიად კანონიერად. აი, რა არის ყველაზედ უფრო საშუაზრო და აუცილებელი დამახშობელი ოჯახობისა. მთავრობა მიხედა ამ მხრით დიდს ნაკლებეანებას აწ მოშენების კანონდებისა და ფულიანთა აღებ-პიმცემთა სითელახარბის დასასჯელად ვაპოვიდა შემდეგი კანონ-დების მუხლები: ეინც ასეხებებს სოფლებებს გაჭირების დროს ან ჰურს, ან სხვა რაიმე ჰირანხულს, ან ფულს, ისარგებლებს სოფლის გაჭირებული მდგომარეობით და გადაუზღველ ვალად დაატეს მას კისერზედ, იმას პირველად დაატუსაღებდენ არა უმეტეს სამის თვისა და მეროდ, თუ კიდევ დაჭირებს ამგვარსავე

უმართებულთა საქმეში, მაშინ დასჯიან მოვალეს ექვითის დატყევიებით. ამგვარი შერულობა მოვალეს მხრით ჩაითვლება ანგარების-მოყვარეობად. მოსამართლე აუქმებს მას იმ პირობით, რომ ვასეხებულთი უნდა დაუბრუნდეს, ვარდა ნაძალადეოდ აღებულის სარგებლისა, რომელიც მოსესხეს ვალის გადახდაში ჩაეთვლება. თუ მოსესხე ისეთს შევიწროებულს მდგომარეობაში იყო, რომ რა მძიმე პირობაც უნდა ჩამოგვრთომა, მოსესხე, მეტი ღონე არ ჰქონდა, უნდა დათანხმებულიყო; თუ მოვალემ რამე ნაირად დაფარა დიდი სარგებლის ღება, მაგალითად თუ სარგებელი თავნის მიუმატა და ისე დასწერა თამასუქი, ან თითოც დაგირაჯებული ნიეთების შესანახე-ფულად გამოართვა, ან შტრაფად ჩაუწერა მეტის-მეტი სარგებელი, დამნაშავე მოვალე უნდა დაიჭირონ ორი თვიდან მოკიდებული ერთ წელსა და ოთხ თვემდის, ან არა და შტრაფად გადაახდევინონ სამს მანეთამდის. აგრეთვე დასიჯებიან ისინი, ეინც დიდ სარგებლიანს თამასუქს გამოტყუებენ. ვისმე და, ან თუ ამ თამასუქით გადაუზღვიენ-ბია ფული. თორმეტ პროცენტამდის სარგებლის ღება არ არის დაშლილი. ვამსესხებულთ კანტორების მეპატრონეები გადაწყებულის პროცენტისათვის, ან თუ შეუტყვეს, რომ დაგირაჯებულ ნიეთები უხმარია, ან უწესოდ შეურჩენია, დასიჯებიან სისხლის სამართლის წესდების შემდეგი მუხლების ძალით: მუხლი 173-177 და 180. ამას ვარდა მთა აღეკრძალვებთ ამისთანა კანტორების წარმოება და ამას შემდეგ დაუკეტენ კიდევ კანტორას.

მეორე კანონ-დება შეეხება ხარჯის დადებას სადგომების მოჭირავებზედ. ეს, რასაკვირველია, ჯერ

რუსეთში უნდა შემოიღონ და ჩვენში კი არა, მაგრამ, როლა დასაფარავია, ჩვენშიაც მალე მოაწვეს. ამ ხარჯს არ გადაახდევინებენ მხოლოდ მხედრობის კაცს და სხვა-და-სხვა მცირე მხედრობის მოხელეს, როგორც ხმელეთის ჯარისას, აგრეთვე ზღვის ჯარისას ლენერლის ჩინამდის. აგრეთვე არ გადაახდევინებენ უცხო ქვეყნის სახელმწიფოების ელჩებს, მათს მოხელეებს, ვინც კი ცნობილია მთაწრობისაგან ელჩად, ან საელჩო მოსამსახურედ არ გადაახდევინებენ აგრეთვე ამ ხარჯს უბრალო მუშა-ხალხს, რომელიც სხვა ქალაქებშია სამუშაოდ წასული. არ გადაახდევინებენ სამღვდელთაგანს. დანარჩენს ყველას გადაახდევინებენ ამ ხარჯს განუკითხავად წოდებისა და ღირსებისა. ხარჯი იქნება აღრიცხული იმისდა

შესაფერად, თუ რა ფასის სადგომი უჭირავს წლიურად მოქირავეს. ვისაც უფრო ძვირფასი სადგომი უჭირავს ქირით, იმას მეტი ხარჯი გადახდება და ვისაც უფრო იაფფასად აქვს სადგომი მიქირავებული, იმას ნაკლები. ამ ხარჯის დასადებად უკვე აწერილია მთელს იმპერიაში სადგომები ქალაქებში და სოფლებში და გაყოფილია ქალაქი და სოფლები რამდენსამე ხარისხად და განყოფილებად იმის-და-გვარად, როგორი ღირსების არიან თვით ქალაქები და სოფლები: სატანტო ქალაქში უფრო დიდი ხარჯი იქნება მდგმურებზედ გაწერილი, დიდ ქალაქებში იმაზედ ნაკლები და მცირე ქალაქში კიდევ ნაკლები, აგრეთვე სოფლებიც ასეა მეტ-ნაკლებობაზე და ხარი სხობით დაყოფილი....

ც ხ ო ვ რ ე ბ ა

(ნაღსონიან)

**ს** შირაზშირად იცელის სახესა,  
მიმდევით თაყის ენებისა,  
მსგავსი კვამლისა, ლანდია,  
ვით ბავშვი - თაყის ნებისა;

ყველგან სჩქევს მძაფრი სიცოცხლე,  
მით-მოეთობს, გესლით ჰბენს,  
იმ უგულოსთვის ერთია:  
დიდს უკბინოს, თუ პატარებს.

ურიგო ხმაურობა,  
მთელი სურათი ჰრელია!  
აქ კოცნა სიყვარულისა,  
იქ კაცს ჰკლავს დანა მკრელია.

აქ ისმის ხმაი თვალთ-მაქცის,  
ჩვენთვის არ სასურველია;  
იქ მოდის ჯვარ-ქვეშ მოხრილი  
საბრალო მართლის მთქმელია.

სად მზეა, იქაც ჩრდილია!  
სადაც ღვინია, შექცევა;  
იქ ისმის მათხოვრებისა,  
მშვიერთა კენესა და გლოვა.

გუშინ წინ ჩვენსა მიდამოს  
იღვა სისხლისა ღვარები,

ხელ ისევ აღმოცენდება  
ყვავილი მრავალ-გვარები.

აგერ ძვირფასი თვლია,  
ტალაზში ამოვლებული;  
იქ შენიგირი ნაყოფი,  
მატლისგან დახრულ-შეჭმული.

წელან შენ იყავ რაინდი,  
ქება-დიდებით შემკული,  
ახლა-გაშხარხარ საზიზლი,  
ტოლებში სირცხვილეული

წუთი სოფელი, ცხოვრება?!...  
სად არის სამართალია?  
მისგან ნიადგ ისერება  
წმინდა და გულმართალია.

ხან-და-ხან იგი ჰმუნეა,  
ხან-და ხან მიმზიდველია;  
ხან სინათლეა, სიმშვიდე,  
ხან სიბილწე და ბნელია:

ცხოვრება — სერაფიმია,  
ხან მთერალი შემქცეველია;  
ცხოვრება ოკენავე,  
ხან საპატიმრო ხერელია.

მალ. ბოლქვაძე



### ერემ-სერემ-სურემიანი

(დასასრული\*)



ვედვით და სხვა-და-სხვა მხარეს ვაქვით, ხოლო ერემი დარჩა იქ, რადგანაც დარწმუნებული ვიყავით (ეს ბჭობამ დაგვიმტკიცა), არაფერი უშავდა. დიად, წავედით სხვა-და-სხვა მხარეს, მაგრამ ხეტიალი ტყეში და შეკრჩხა. სადამო ხანზე დაღალულ-დაქანცულები დაებრუნდით სახლში, ანუ უკეთ რომ ესთქვათ, ნახაზდარში, — ერთისაც ვერაფერი გაითვით. ერემიც იქ დაგვიხვდა. მიერ სდ თუ იქით? სათორის საჩუხი ვადარჩენოდა, იქ შემეცრალიყო და მოეუბნავა, იწვა და ჩუმშუმადა კენესოდა, ეტყობოდა ძაღლის ნაქილარები სტკიოდა. დედა თავს დასტრიალებდა, წამოღებ ადებდა, წუწუნებდა, სტიროდა. „სოცხალს რადა მმარხავთ მიწაშიო“, გაიძახოდა. სერემმაც თავი აიტკივა და ნელა ისიცა კენესოდა. მეც კი მაგარი სურდო მომხვდა და ცხვირში და ყელში ხრიალი დავიწყე, ასე რომ მეც დაწოლა მომინდა.

ასე სამივე ძმანი ერთად მივეწყევნით გოჭებოვით სათორეში. გაცრუვდა ჩენი იმედ, ჩენი მოგზაურობა, ბჭობასაც მოუტყლიოთ. ვისღა ჰქონდა ლაპარაკის და მსჯელობის თავი, თქვენს მტერს, რაც ჩვენ იმ ლამეს ტანჯვა გამოვივარეთ. დედა თავს არ გვიანებდა. მამამ კი ყური აღარ გვიფლო. ვათენდა დილა, ღმერთმა მრავალი დილა გაგითენოსთ სიხარულოსა.

— გაიღვიძეთ, ძმებო, გაიღვიძეთ, ვდმოგვძახოდა იქით მხრიდან ერემი, ეტყობოდა კარგს გუნებაზე იყო, დედის წაპლები და ექიმბაზობა მოხდენოდა.

— რა ამბავია, ძმაო ერემო?! მივეცით ჩვენს აქედან ხმა.

— ფრიად კი ამბავი, გვიპასუხა მან: შევნიერი სიხმარი ენახე.

— სიხმარიო? მეც არა ვთქვი, სხვა თუ რამე მოისახრე მეთქი, ეუპასუხე. სიხმარში რა ყრია? სიხმარი განა ფაქტია?

— ნამდვილი ფაქტიაო, თქვა ერემმა, მამ რადა ენახე, თუ ფაქტი არაა, თუ არაფერს მოასწავებსო. ეიცოდი ამ სავანზე დიდი ბჭობა გაიმართებოდა და მე თავი არა მქონდა ბჭობისა. სურემიც უგებულ რად კრუნავდა კატის კნუტავით მოკუნჩხული თორნის პირას.

— რა ჰნახე სთქვი, გვიამბე. მუტად ყოფნას მუტად შრომა სჯობია, ეთქვი მე. სევამა ესევე

ითხოვა და ვადმოყო თავი, როცა სიხმარი ვახსენეთ.

— ნამდვილად კი სიხმარი ენახე: მე წუხელი სიხმარში ოსმალეთში ვიყავი, დაიწყო ერემმა: გავიგო მიერს ოსმალეთს ჩემი იქ ყოფნა და შემრულიყო მთელი ოსმალეთის სამეფო, თურმე მეფის ამორჩევა უნდოდათ და კაცი ვერ ეშოვნათ. შემომხებია გარს ოსმალთა დიდებული კაცები და მუხლ-მოდრეკით მიხოვდენ: „თუ გვამთ დიდი ალღობი, გვიშველე რამ, გვიპატრონე, ვიღუბებით, ცრჩებით უპატრონოდ, უმიფვოდაო.“

მე ვერ უარზე დავდექი და ეუპასუხე: „სადა მაქვს იმდენი დრო და მოცალეობა, თქვენი საქმეები ვაკეთო, ვასწავრო-მეთქი, სამგზავროდა ვარ წამოსული-მეთქი, მაგრამ ბოლოს დაეთანხმდი, რადგანაც გადამივტყენ და თავს ალა მანებებდენ. დავჯეკი სულთანის ტახტზე. გაიმართა დიდი მიჯლისი, და სმა-ჰამა. სუფრანზე სულ თათრული საქმელები მოდიოდა: ქუფთა, ქაბაბი, ფლაგი და სხე, და სხე, ხოლო ღვინო არსადა სჩანდა. მე ვაქვყერი და შევეუძახე, უღვინოდ პურის ჰამა სადა თქმულა, გაგონილა! რატომ სუფრანზე ქართული შოთები არ არის-მეთქი, მე ლავის ჰამას დაჩეუული არ გავხვარ-მეთქი.“

რასაქვირევილა ჩემი ბრძანება მყისვე ასრულდა. ერთი რუმბი წითელი ღვინო შემომართის და გვერდებ-დამბრწყული შოთებიც მალე გაჩნდა. ბოზბაში ფრიად მიამა, იმათაც სკოდნოდათ ამ საქმლის კეთება.

სადილს შემდეგ უნდა ხელით ეექანებინე ოსმალეთის დიდებულთა. გამიმართეს, ესე იგი წინადვე გამართული ჰქნდათ მეფისთვის საქანელა საკაცის მსგავსი, ძვირფასის ფარჩისა, იმაზე დამაწვენეს და ხელით მალა-მალა მისროდენ, ხოლო მადლიდან ისევე საკაცებზე ჩამოეშვებოდი ხოლმე. ეს ქანაობა ფრიად სასიამოვნო იყო ჩემთვის, რომ უბედურებით არ დასრულებულიყო ეს ქანაობა; ერთმა ვეზირთა-განმა — აღმათ დაიღალა; მადლიდან უნდა ბუმბულის ლიბებზე დავეცემულ ვიყავი. — იმ დროს ხელი გავუშვა საკაცის ტარს და დაბლა დავეცი, სწორად ის ძაღლის დაღვეჯილი ბარძაყი მეტყინა. შექმნეს უსიამოვნოდ ძახილი, იწყინეს ყველა ვეზირებმა ეს თავის ამხანაგის მარცხი და სულთანის შეურაცხყოფა; ყველანი ჩემთან ერთად დამხებენ პირქვე. მე შემკრთალს მომდევნოდა. ფრიად კი სიხმარიო! აბა დისწავლეთ თქვენ ნახეთო რა იქნებოაო.

— სწორედ მეც მაგის მსგავსი სიხმარი ენახეო, დაიწყო სერემმა, უთუოდ ძმებს საერთო რადაც ბე-



დნიერება მოგველის. მე ფრთები გამომსელოდა და ჰაერში დაფერიხავდი. გამოიტაცა ქარმა, სადაღც ერთს კუნძულზე ჩამოვიწვი. მისელო ჩემი და დაიწყო აუარებელმა ხალხმა მოდენა. მოჰქონდათ ლანგრებით ოქრო-და-ვერცხლი, იაგუნდი და ლალი. ვინც ღარიბი იყო, სანოვაცეს ეწინააღმდეგებდნენ: ლეინოს, გაფუფქულს გოკებს, ინდაურებს, ბატებს და ზედ, ეხსაც არ შეგებოლა ტაბლსთან ნახუქების მყოფლებმა, შკადი მოჰქონდა, მცემდენ თავყასს, მიკრადენ თავს, მოწიწებით მეპყრობოდნენ. არ ვიცი, რა ვგეონენ? ვგონებ იმათაც უნდოდათ ხელშეიფედ ამოვერჩიე. მე წელა-წელა პურსა და ქაიშის, ინდაურის ხორცს შევეტყეოდი ღ თანაც ბოდიშს ვიხდიდი, წყნარ-წყნარად ლეინოს ეაყოლებდი. ბედნიერად ვგრძნობდი ჩემს თავს. დიდი ეაქე მინდორი ჩემთვის მორთმეულის ძღვნით და თვალმარგალიტით იყო გავსებული.

უცებ ხალხმა მალლა ცას შეხედა. ყველამ ერთ ხმად დაიძახა: „ვაჰმე, შავი ღრბეული მოდის, აგერ გამოჩნდა ცაზეო!“ ყველანი შემომეფანტნენ გარშემო, დაერჩი მე მარტოც ამ აუარებელის სიმდიდრით გარს შემორტყეული. ესიაშეგნებდი და აღარ ვიცოდი, სად წამეღო და როგორ მომეყოლა. გამოვეციღე ხალხს უკან და ვეცხობდი, მინდოდა ერთი-ორი კაცი ჩამეგდო ხელში, რომ იმათთვის წამეღებინა ეს თვალმარგალიტი იქ, სადაც მე მოვისურვებდი. მე თქვენ გიბრძანებთ, გაჩერდეთ-მეთქი, მიეძახოდი კვალ-და-კვალ, უცებ ფეხი რაღასაც წამოეკარ და ქეხს თავი ეხახლე. შემერთალს გამომეღვიძა. თავი მტკიოდა.

ეს სიზმარი როგორღა მოგწონთ, ძმანო ჩემო-ოცა?! გვკითხა თავმოწონებით სერგემა.

ბოლოს, როცა თავისი სიზმრების საუბარი გავათავის ჩება ძმებმა მე გადამიყიდენ, უნდა სთქვა, შენ რაღა სიზმარი ჰქახეო. მართლა ღვთის წინაშე, მეცა მქონდა ნანახი ერთი სიზმარი, მაგრამ იგი არ ეთანხმებოდა ჩემის ძმების სიზმრებს და ცოტა არ იყოს ეფრიდებოდი სიზმრის გაქლანებას, არ მინდოდა ძმების აღტაცებისათვის ფრთები შემეკეცეცა. მაგრამ რა იქნებოდა, რაკი მთხედრდენ, უნდა მეთქვა, ავი იყო, თუ კარგი. ძმებს როგორც ვაწყენინებდი.

— ჩემი სიზმარი ჩემდა საუბერულად თქვენს სიზმარს არ შეეთანახებოდა, ძმებო — დაიწყო მე; ფრიალ ცული სიზმარი ენახე; ჩვენ სამივე ძმები, ვითომ, სამგზავროდ წაესულეიყავით და მოექმწყვედიეთ აფრიკაში, სახარის უდაბნოში; გზა დაეკარგეთ და ებეტიალობდით უკუ-უკოლოდ ქაშქარ არეგ-გაღარეულინი. უცბათ შეხებდეთ და ერთი უზარმაზარის ტანის მღვეი შეგვეტეჩა წინ, ცალი ფეხით კოჭლი იყო.

— აქ რას დახეტიალობთ, თქვე, ღურაკებო, თქვენაო? მოგვძახა: ნუ თუ არ იციო, ეს ჩემი სამეფოა და აქ ჩემს ნება-დაღრთავად არავის შეუძლიან დაადგას ფეხიო?! ნუ თუ არა ვაქესთ თავის სამშობლო, თქვენი მიწა-წყალიო?! მე რომ ვიცი ვაქეთ, და ისიც ვიცი, ვინცა ბრძანდებით, მაგრამ როცა ღურაკები ხართ, და რა იქნება. თქვენ ერემ-სერემ-სურემნი არა ბრძანდებით, ღიღთა გამოჩენილ გმირთა ჩამომავალნი?

თქვენმა მამა-პაპამ დიდი ზიანი მისცა ჩემს მამა-პაპას და ასლა კი ღროს მოვატანეთ აქა.

— ნუ დაგვბოც, შეგვიწყალე, რა იქნება შენს სასულიეროდო, — ჩვენ ვეუბნებოდით — ოღონდაც ნუ დაგვბოც და როგორც გნებოთ, გეტანჯე და გმეამეო.

— აუსუს, ბადრისა და უსიბის ჯიშო, როგორ წამდარხართ და გაფუტებულხართ! შევარცხენათ ღმერთმაო, მოგვძახა: დაჰკრა ფეხი ძლიერად ქეიშროს, დედა-მიწას და სამივეს ფეტვი გადმოგვყარა თავზე; თითონ კი ვაჰქრა სადაღც. სურათი ჩვენის მღვამარებობის გამოიკვალა: ჩვენს გარეშეო ვაკეთდა დიდი ქაობი და უცბად შიგ ბაყაყებმა ასტეხეს ყყინი: მე და სერემი ვეყარენით ამ ქაობებში ტიტლიკანები, ტანზე ბაყაყები ვეაცოდებოდნენ; ერთნაირი მწერები დაგვესიგნ და სისხლსა გესუტაედენ. საზარელი იყო ჩვენი ტანჯეა.

— შენ, ერემო, იქითენ იჯექი პატარა ქვაზე, ტანიდან ჩირქი გლიოდა და ძალღები გლოკავდენ ამ ჩირქსა. შენმა ყოფნამ მრაველი ტანჯულეო იიბის მღვამარება მომავანა. ძლიერ შეწუხებული ვიყავი. ეიტანჯებოდი, ვიღმიტებოდი, ვიგრიხებოდი, შეგელა არსაიდან იყო. ამ ტანჯეა-წყალებმაში გამომეღვიძა. მე ესა ენახე-მეთქი, უთხარი ძმებსა. ერემმა და სერემმა ძალიან იწყინეს: ეგ რა სანახავი გინახესო. არა ჰნახანდი მავს შენა, სტყუო. როგორ შეიძლოდა ჩვენ მარგალიტებით სიზმრები ენახეთ და შენ კი რაღაც უმსგავსო სიზმარს გეიამზობო... მე პასუხად ვერაფერი ვუთხარი, ესდგმდი...

ამასობაში პურიც მოგვწმენოდა. დედა ჩვენიც მოვიდა და გამოგვიცხადა, რომ ღმერთმანი, ყველა მეზობლები შემოვიარენ, მაგრამ პურის შიგნა არსად არისო.

ჩვენ ერთხმად აურ-ზაური აესტენეთ: როგორ თუ არ არის, ეინა ჰმედაც მავისთანა თავებულობას, მამ შშიერები უნდა დაეიხორცენეთო, ეყვიროდით.

დედა გვიცქეროდა და სტიროდა, თვალეზიდან ცრემლი მოსდიოდა ნაკალღულით.

— რა ეწმა, შეიღებო, თქვა დედა ჩვენმა: ყველა იმას ამბობს, პური და ღვინო თავისი რატომ არა ვაქეთო, ჩვენ რა მოვალენი ვართ, გველეშაპით ვაქვაცები ეყვებოთო.

ჩენ ისევ ეჯავრობდით, ეწურებოდით, მაგრამ რა იქნებოდა, კუჭი თავისას თხოულობდა, გვაწუხებდა. მოთმინების ღონე აღარ იყო. უნდა ერთ-ერთი წაე-სულთყოყავით და მოგვეგვავა სანოვავე. ერეშმა სთქვა, მე უფროსი ვარ და თქვენთვის, უმცროსებისთვის სირცხვილია მე გამგზავნოთ, თქვენ უნდა მემსახუ-რებოდეთო და არა მე თქვენაო. სერეშმა სთქვა მე სურემზე უფროსი ვარ და მამსადად მე სურეში, ესე იგი მე, უნდა წავიდეს პურის სათხოვნელადაო. მეც აე-ხირდი, რაკი უმცროს უფროსობაზე მივიდა საქმე.

— უფროსი რასა ჰქვიან და უმცროსი, ყველა-საც ჰკმა უნდა მეთქი: მამსადად მე რამდენადღე მე მომიხიზებდა ზრუნვა სახროსათვის, იმდენადღე თქვენ, ძმანო ჩემნო.

რალა ბევერი გავაგრძელო, შეეგვავებდიო, შეე-კამათოთ.

— მე სხვა რომ არაფერი იყოს, — დაიწყო ერეშმა: მე სხვა ჰქვისა, სხვა გოგარის კაცი ვარ, — მე, თუ სადმე სამართალი ვაქვსო, თქვენ ჩემს ძმებსა, ცივი ნიაყიც არ უნდა მომეკაროთო.

— ჩემისთანა ბიჭი ერთიც არა ხართ, არც ჰქუთი არც მეტყველებით, არც ჯანით და არც არა-ფრთია — თქვა სერეშმა.

მე უფრო თავი მოვიწონე, უფრო მეკებე-მეკებე ქართული დაეხარჯე.

ბოლოს გამოვივიდა ძმებს მუშტის კრივი, რათა ამითი ამ საშუალებით მაინც დაგვეტყვიცა ერთმა-ნეთისათვის, ვინ ვიყავით კაი ბიჭი და ვინ არა, მართ-ლა პატარისკემის ღირსი ვიყავით, ერთს მიწე-მოწე-ვაში ეკაწრიდით ერთმანეთს სახეს და იქნება კი-დეც დაგვეხანჯლა ერთმანეთი, რომ მეშველი არ ჩა-მოგედგომოდა შუაზე.

შეეხედეთ, ქვევიდან პირდაპირ თავზე წამოგვადვა ერთი ახმახი, სახე-ალეწილი, შავი თათარი, ხელში ამოწდილი ხმალი ეჭირა.

— აულო, ბისბირალაო! დაიყვირა: რასა სხადით თქვე გიაურებო?! განა ჩემს სამეფოში მავა-

საც მბედათ, ისე ვაკანდნიერდითო?! და დავიშინა ხმლის ყუა კისერში, ჩვენ თხებივით აღდგებით, ვა-ერბოდით თავ-გადაღლევილები ზოგი დამა, სხვა და-ღმა; დაესტრავით ბუნაგი ჩენი, ჩენი აზარებული კარ მიღამო და ეილტოდით სწვა-და-სხვა მხარეს. დენ-მამაც დაგვაიწყდა და ყველაფერიც ოღონდაც ჩენი თავისთვის რამ გვეშველა. თავს უშველეთ, მაგრამ, ვაი, ამისთანა თავისშველას.

ჩენი ქვეყანა მაშინ თათარს ეჭირა, მერე საე-დანდაც განჩნდა კოჭლი მდელი. იქას კონსთანინად მიებდურება, მიებეკვა თქვენი თათარი, კინაღამ მიე-ჩრია, ძლიეს ცოცხალი გამოჰხვეწებოდა და ჩენც იმას ჩაუცივდით ხელში.

დავერებო დავანტულეები, გზა-კვალ არეულეები რომ დავეინახა, ერთი უსვავსოდ დაირხურება, თი-თქოს ცა სქექსო, ისე გაიკინა. დაგეტაცა სათითა-ოდ ყური და ისე მოგავაროვა ერთად.

— მე მოგაკვივანებთო, გვითხრა: ნუ გეშინიათ, არც სასმელს დაგაკლებთ, არც საქმელსაო. ჩვენ სახე გამოტყარებულეები შეეყურებდით ერთმა-ნეთს და ჩენს მეუფროსეს.

მე წამომიყვანა და ერთ უღმობელ ვაჭარს დამიყე-ნა მოგვამაგრედ, წლობით გაურიგდა, ხოლო ჩემი ჯამაგირი თითონ კოჭლს მდღეს უნდა მიეღო.

ჩემი ძმები კი თურმე წაიყვანა და კალატაზო-ბას ასწავლის.

მომადის ძმებისაგან გულ-საკლევი წერილები: „კოჭლი მდელი ერთს უზარ-მაზარ კოშკს აშენებს, სწორედ ბაბილონის გოდოდლის მსგავს, ცაში ასას-ელელად და რიყდან ამის ქვას სულ ჩენ გეზიდ-ვინებს, დაგწყვიტა წყლებიც; ღამის თავები დაეხი-ცოთო, მაგრამ ამასაც ვერ ვახერხებთ, ისე ფიზოლად გვადევნებს თელ-ყურს. ნეტაეი, ძმაო სურემო, ჰქუ-აზე მოეტყუელიყავით, ერ თამხეთისთვის ზურგი მი-გვეცა, იქნება ეს უბედურება არ დაგეტყობდა თა-ევზო. ამასა მწერენ ჩემი ძმები...“

აი, ამითი თავდება ჩენი ძმობა, ჩენი ბუკობა და ჩენი სიხმარები. ბოლოს რა იქნება, ღმერთმა უწყის, იქნება ერთმანეთი კიდევ ვიპოვოთ და მა-შინ კი აღვიღალ ველარ გავიმეტებთ ერთი მეორეს დასაკარგავად, დასაღუპავად.

ვაე-ფშაქველა.

დ. მ — ს



ენ სტირი, ძმაო, მაშინ, როდესაც სხეები ღონივრად და ხარხაროდებ; გწყინს, რომ იგინი უგუნურები ხალხისა წყლულსა არიად ავდებენ.

დღე, იღონონ: შენ კი იტრე, ცრემლით აპკურე ხალხისა სვედა; წაშლად დადე და ააშორე თავს დატყბილი ძლიერი ელად.

იტრე და შენს კენესა ტირილში მოქმედებს ძალა ახალგაზღობის;

მას ეს ტირილი უფრო გულს ხედება, მინამ ღვეური უგუნურობის.

შენთან ერთად შეაერთებს ის, რაც ქანგი გულზე მას დახვეცია, და მით წოსწამლამს ხალხისა მტერსა. იგი მას სძულს და მობეზრებია.

მაგრამ ამას ვთხოვ, სხვა თუ თამაშობს, მით ნუ იწყლულბთ განგმირულ გულსა; გაგატიედ წინა და ერთად ყველამ ცრემლით მოეწმინდით მოძმებს ტანჯულსა.

ხაკოვი.

სტ. ა. მუსხელიშვილი.

### ქართული წირვა-ლოცვის და ვალოზის შესახებ



ან-და თან შეიგნო ჩვენა სამღვდლოებამ, რომ ლეთის დიდება სამშობლოს ენაზედ აუცილებელს საქართვებას შეადგენს ერის სარწმუნოებრივ გრძნობათა ვასაღვიძებლად.

არ შემოდინა არ აღენიშნო 10 ივნის 1893 წ. ჩემ მიერ გამოკლილი სიაზონება, რომელიც გამოიწვია ქართულმა წირვამ მთაწმიდის მამა დავითის ეკლესიაში. ამ დღეს იქ ვალოზდა ქალების ქართული ხორა მ. მღ. კ — შეილის ლობჯარობით.

თითოეული კაცს ლოცვა უნდა იყოს გონიერული; გრძნობიერი, გამოხატული გარგანი ნიშნებით; სხეულის მოძრაობით, სიტყვებით და ვალოზით.

თუ დავუბნებულს გრძნობას კაცი სიმღერით გამოთქვამს, იგივე სიმღერა-ვალოზაა საქირა, რომ სხვა გრძნობაზედ მოიყვანოს, სხვაზედაც ვაღვინა იქნაიოს. მაგრამ გრძნობის ვაკლევა და გონიერულად გადაქცევა უსიტყვოთ, ცარიელი ღიღინით, არ შეიძლება. უტყველად სიტყვებერ უნდა ითქმებოდეს ღიღინით, რომ ვალოზად გადაიქცეს და ვაგებინოს მსმენელს, რას გრძნობს მვალოზელი.

მე არ გამოუღებები ფსიხოლოგიურ გამოკლევას, თუ რასა გრძნობს კაცი, როდესაც სამშობლო ენაზედ ეუბნები მას „უფალა შემოწყალე“, ან მამან როდესაც უტყბო ენებზედ, თუნდაც ნაწნობი იყოს იგი ენა, ეუბნები „Deus“, „მეაა“, „Bora“. ვიტყვი მხოლოდ, რომ ვისაც სურს სავსებით ვაგებინოს სხვის თავისი კლანა, ან გრძნობა, უტყველად სამშობლო ენაზედ უნდა მიმართოს მსმენელს. დიდი ხანია, რაც რომის პაპის ეკლესია უარს ჰყოფს სამშობლო ენაზედ ლეთის მსახურებას, მაგრამ მას ეწინააღმდეგე მართლ-მადიდებლობა და კათოლიკეშიც მწუალებლობა გამოიწვია; მართლ-მადიდებლობამ, ცნობიერი შეგნებული მალაღ-გრძნობიერი სარწმუნოება აღიარა, საქირა ქრისტიანობისთვის და ამისთანა სარწმუნოება, თუ არ სამშობლო ენაზედ, სხვა ენაზედ გრძნობას მოკლებულია. უტყბო ენა ასეთს სამსახურს ვერ გაუწევს კაცს, ნამეტნავად გრძნობის საქმეში.

კაცობრიობის ბედნიერება მისი გონების წარმატებით განიზომება. თუ მისი ცხოვრება სიმთელით წარმოებს, მაშინ მისი გონება ნიადაგ წარმატებაშია. ამავე კანონს ემორჩილება მართლ-მადიდებელი ქრისტიანობაც. იყვენი თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს“ (სახ. მათ. თევ. 5 მუხ. 48.) გვითხრა მაცხოვარმა და ამით დავეისახა ის საუკუნო იდეალი წარმატებისა, რომლისადმი მისწრაფება შეადგენს

ქრისტიანი კაცის სულიერს მოთხოვნილებას: რამდენადაც განვითარდება კაცი ქრისტიანობის გზაზედ, იმდენად სავსებით წარმოდგება ზღვა იდეალისა, რომლის მისწრაფებაშიც ის უნდა ლღვეს სულს. ეს მისწრაფება, ეს განვითარება, კულტურა უნდა აღინიშნებოდეს ისტორიის გზაზედ, უმთავრესად მეტყველება-ვალოზით, თუმცა სხეულის მოძრაობასაც თავისი მნიშვნელობა აქვს. მეტყველება-ვალოზა ვითარდებოდა ქრისტიანობის შემოღებიდან საქართველოში, ვიდრე ამ საუკუნემდე. კულტურას ენისას ცხადად გვიჩვენებს ყველა საღვთო წიგნები, რომლებიც შეადგენენ საღვთოს ჩვენის ენისას. უნდა ვიგულისხმოდ, რომ მეტყველებასთან ერთად ვალოზაც განვითარებამი შედოდა. ამას გვიმტკიცებს ვალოზის მოღება მთელს გურიაში, მისი სავრად გადაქცევა. ზოგიერთი სავალოზელი ნიშნებით დაწერილი წიგნები ძველითგან დადგრჩენია. ზოგი მათგანი წერაკითხვის გამარტვლებელს საზოგადოების წიგნთსაკაუში მინახავს. ძველად მეტყველება-ვალოზის განვითარების მოთავედ სამღვდლოება იყო.

იგი წინ მიუძღოდა ერს. ერი მას ანაფორის კალთებზედ ჰყავდა გამოზმული. სარწმუნოების და მამულის სიყვარულით ვატაცებულნი ფანატურად, მედგრად უზედებოდენ ერთად სარწმუნოებისა და მამულის მტერებს. კიდევ ეს იყო მიზეზი, რომ ერთმა მუქა ხალხმა შეუძლო ხანგრძლივ ვარამს და, თუმცა დასუსტებულმა, ღონე-გამოლეულმა, მაგრამ მტკიცედ დატული კი, მიიტანა მეცხრამეტე საუკუნის კარებადმდე მამა-პაპისაგან საუკუნოებით შეგუშავებული მეტყველება ვალოზა. ასეთი მოთავეობა აკავშირებდა ერსა და მღვდელს ერთად და მღვდელი მუდამ პატრიცემული ჰყავდა საქართველოს ერს, როგორც სულიერი მამა და მოძღვარი. „მოძღვარი“ ტერმინი სახელია მღვდლისა. ქართველმა მღვდელმა ერის წინამძღვრობით საუკუნოების განმავლობაში დაიმსახურა ეს სახელი საქართველოში, თორემ ბერძენები და სხვა ქრისტიანთა ერება მას ეძახდნენ: „იერიოს“, „პრესვიტეროს“, „პატერ“, „ეპისკოპოს“, „სეიაშენიკ“, „პოპ“... და სხვ., რომლებიც ნიშნავენ მხოლოდ უზუტესს, მამას, წმინდას და სხვ.

ახლა რაღას ეხედავთ მოძღვრის ნაცვლად?... აქ კი სული მეზუთება, რომ ევიქრდები. მოძღვარმა სხვა მხარეს გაიწია, სხვაწიურს ნიადაგზედ აღმოცენდა და ერი კი დარჩა უწინამძღვროდ, მას შერხა მხოლოდ სასულიერო წესების აღმასრულებლობა, იმ წესებისა მართლა, რომელსაც თვითონ ერი მოსთხოვს. მეტყველება დაეცა, წიგნები გვიობდება და ახლან-



დელი ქართული ვალოზაც რიდასიკ აჩრდილს წარ-  
მოადგენს. იგი თუმცა გამოურკვეველია ჩემთვის,  
მაგრამ ვეება აჩრდილით კი მესახება თვალ წინ.

დღევანდელი მ. კ—შვილის ვალოზაც აჩრდი-  
ლია წინანდლისა. იგი ცდილობს შეეფეროს ერის  
გრძნობას. ეითამ ცდილობს მოთავეობა გაუწიოს.  
მაგრამ ძალიან უკანაა ჩამორჩენილი. ერთა მზარი შეა-  
ქტა ეკლესიასა. ერის მასაზრდოებელი ვამხდარან  
სოფელში სალაყბოები, დუქნები; ქალაქში ცირკები,  
ბალები, არფიანკები და სხე...

მაინც სასიამოვნოა მ. კ—შვილის ვალოზა და  
კიდევ სხვათაც, რომელთაც ამ უკანასკნელ დროს  
ხან-გამოშვებით მოვისმინეთ ხოლმე ეკლესიებში. \*)  
სასიამოვნოა მიტომ, რომ ადრეული მერცხლებივით  
ვახაფხულს მოასწავებენ. ვისურვებ, რომ მშობლიური  
მეტყველება-ვალოზა უმაღლეს ხარისხამდე ასულიყვეს  
და ერის წინამძღვრად გამხდომოდეს, თორემ საჩუმე-  
ნოებრივთა გრძნობათა დამახინჯება ერის ვადაბირე-  
ბას ნიშნავს. ვისურვებ, რომ კ—შვილი და მასთან  
სხვა მდღღებიც ერთად საზოგადო მოღვაწეებად  
გადაქცულიყვენ, აღედგინოთ და ხელმწივრედ დაე-  
მსახურებინოთ სახელი მოძღვრისა.

მთ. ი. მ.—შვილი.

ქარღ-ო-ურანსუა გუნო




უნო არის ერთი უდიდესი წარმომადგენელი  
მეტხრანეტე საუკუნეში მუსიკის წარმატებისა.  
ეს ორმოც-დაათი წელიწადია, რაც მისი სა-  
ხელი პატერისტებით იხსენება ამერიკიდან მოკლებუ-  
ლი ჩვენ ქალაქ ტფილისამდის. რომელს ვაგნება-  
განვითარებულს ახალგაზრდას არ მოუხმენია და თვა-  
ლით არ უნახავს მისმიერ შეთხზული ოპერა „ფუს-  
ტი“, სადაც მისი მუსიკა ღრმად აღმოხატავს ბორო-  
ტებით ტრანჯულის კაცის სულის ვითარებას. ბევრად  
აღრე გუნოზედ ქვეყნიურმა გენიოსმა გეტემ შეთხზა  
ლეკად დრამა „ფუსტი“; მაგრამ მისმა ზედმიწევნით  
ბუნების მრავალ-გვარობაზედ გამოჭრილმა მქუხარე  
ენამ მიეთედოც ვერ გამოხატა იმ დაფარულითა გუ-  
ლის დღევითა მოძრაობა, რომელიც გუნომ მუსიკის  
საშუალებით დაუხატა მაცურებელს თვალ-წინ და  
რომელიც თავისმკვლელობამდე მიაღწევიანებს ხოლმე  
დამწაშებს. გუნოს მუსიკა გრძნობათა ზღვია, რომ-  
ელიც მითლის განათლებულის ქვეყნების მტკიცებრე-  
თა გამოაჯღვევიანება ხოლმე ამ ორმოც-დაათის  
წლის განმავლობაში საუკეთესო სასიამოვნო წამებს  
გრძნობათა მოძრაობისას. ამ შემთხვევაში მისი მუ-  
სიკა იყო გრძნობის დამატებრილი გულ-წრფელთა  
ქმნილებათათვის, მათი ამგზნები კეთილმოზობილუ-  
რი მოქმედებისათვის და მხაგველი, ძრწოლის მო-  
მგერელი ბოროტების მოქმედათათვის და დამწაშე-  
თათვის. მისი მუსიკით განცდილი წამები მიემგზავსება  
ქვეყნიურს სამოთხეს სულ-მართალ კაცისთვის ღჯოჯო-  
ხეთს იმისთვის, ვისი სინდიდის დანაშაულობით  
მოწამულთა ამ ცხოვრებაში.

ქარღ-ო-ურანსუა გუნო დაიბადა პარიჟში 1818  
წელს. ის არის ახლა სამოცდა თუთხმეტის წლისა.  
ამ საკვირველს კაცს ყმაწილობაში პირველად მუსი-  
კის ცხოველი ნაწერწალი დედა მისმა დაუნთო გულ-  
ში. ეს ქალი იყო შენეიერი დამკერელი ფორტეპი-  
ანოზედ. როცა ყმაწიელი წამოიზარდა, ის მისცეს  
სახელოვანს კონსერვატორიაში და მის მასწავლებ-  
ელად ვახდენ არა-ნაკლებნი მუსიკის გენიოსები იმ  
დროში, რომელთა შორის სახელოვანი პალეიცი იყო.  
როცა გუნომ პარიჟის კონსერვატორიაში დაასრულა  
მუსიკის სწავლა, შემდეგ წაიდა რომს კიდევ უფრო  
ძალიან განსავითარებლად მუსიკის ცოდნაში; იქიდან  
რომ დაბრუნდა, ორღანის დამკერელად ვახდა ერთს  
საელოო ეკლესიაში, საცა იკრიბებოდენ წარჩინებულ-  
ნი უცხო ქვეყნის ელჩები, მუსიკაში ფრიად განვი-  
თარებულნი, რომ მოესმინათ ხოლმე გუნოს შეწეი-

\*) განსაკუთრებით შესანიშნავია თავანწირულობით მე-  
ცადინეობა ბენი ქორიძისა, რომელმაც უკვე ვაღილო ნოტებზედ  
მთელი წირვა, წარუდგინა ყოველ სამღვდლო იმერეთის  
ეპისკოპოსს ვაბრიელს, მაგრამ საჭირო თანხა არ არის, რომ  
დაიბეჭდოს, მარტო ამით არ თავდება ბენი ქორიძის ღვაწლი.  
იმას შეუდგენია ქართული ხორა, რომელსაც წაუფას ვალობი-  
სათვის, აი, ამ კაცს უნდა დახმარება სასყიდლის შეგროვებით,  
რომ ყოველს ეკლესიას მისმიერ გაწაფული ხორა აწვენებდეს.  
მაგრამ როგორც ყოველთვის ნამდვილი მოღვაწენი შიმშილით  
გვიკვებებიან. ვაი თუ ბენი ქორიძესაც ეს ღვაწლი ერვოს, სა-  
ნამ ჩვენ თვალს ვავიფხვენდეთ და მივაწვდენდეთ რაიმე  
წვლილს. მე არ ვამბობ, რომ შეწირულობა გამოვიღოთ  
უნაგარიშოთ. არა, მაგრამ ყოველი ეკლესიისათვის დიდი  
სასარგებლო და საინტერესოა, რომ მრევლი ერთგულად და-  
დილიდს წირვა-ლოცვაზე. ეს ვადაღებს ეკლესიის შემოსავლს.  
ხოლო მრევლი მაშინ იელის, როცა მის გულს დაატეობს  
ქართული შეწიობილი ვალოზა. მაშასადამე ყოველმა სამრე-  
ლო დღველმა უნდა იფიქროს ამ საკანზედ და მომავლის სა-  
რგებლობის გულისთვის ამ თავით გაიღოს რამე სასყიდლი ქო-  
რიძის ხელის ვასამართავად.

რედ.






რი დაკერა საეკლესიო ორღანზედ. გუნო ერთ დროს ისე აღტაცებული იყო ქრისტიანული სარწმუნოებრივი გრძობით, რომ უნდოდა თავის ხელობისათვის თავი დაენებებინა და მღვდლად კურთხეულიყო. თუმცა სარწმუნოებრივს ასეთს აღტაცებას გუნოსას მალე დედვა სახლვარი: მაკრამ მაგიერად მის სამუსიკო თხზულებებს ღრმად აწინა კვალი ზეგარდამოშთავონებისა. მის შეთხზულს ოპერებში საუკეთესონი არიან: „რომეო და ჯულიეტა“, „პოლიექტი“, „იოანე დარკი“, „გაზაფხულის გალობა“, „სალამოს სიმღერა“ და სხვ.

